შპს „ვაგი“

ს/კ 412758957 ; ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №139, ბ.41 ; ტელ.: 5 95 92 75 77 ; E-mail: gvinepadzefridoni@gmial.com

„–12–„ „–იანვარი–„ 2022 წელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ვაგი“-მ (ს/კ 412758957), 2021 წლის 28 აპრილს, შპს გელათი-2007 -საგან (ს.კ.212887722) შეიძინა ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, მდებარე ვანის მუნიციპალიტეტის სოფ.ზეინდარში (ნაკვ. 31.17.21.003). ობიექტს სამინისტროსსთან შეთნხმებული ჰქონდა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში 2019წლის18 დეკემბერს..

კომპანიის მიერ განხორციელდა წარმადობის გაზრდა მძლავრი ვიბროცხავის გამოყენების, როტორული სამსხვრევის კონუსურით ჩანაცვლებისა და ლენტური ტრანსპორტიორების რაოდენობის გაზრდით. ასევე, საკუთარი მოხმარებისათვის მოწყობილია 20 000 ლ ტევადობის დიზელის ავზი და საჩამომსხმელო სვეტი.

აღნიშნული ტიპის ობიექტი შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1. და 6.3. პუნქტებში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აღნიშნულის გარეშე საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისს ოქმი N06599(22.12.2021). აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება,რომელიც 2021 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა სამინისტროში (რეგისტრაციის ნომერი231100).

სამინისტროს მიერ 2021 წლის 21 დეკემბერს N13524/01 წერილით გვეცნობა,რომ ვინაიდან წარმოდგენილი არ იყო მინდობილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი,არ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

დამატებით დანართად წარმოგიდგენთ სანოტარო აქტს (რეგისტრაციის ნომერი210390858;რეგისტრაციის თარიღი 22.04.2021წ).

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი:1. სკრინინგიის განაცხადი და განაცხადის ელ. ვერსია;

2.სანოტარო აქტი ნომერი210390858;რეგისტრაციის თარიღი 22.04.2021წ).

პატივისცემით

ოთარ ჩიხლაძე

მინდობილი პირი

№ 408
14 01 22